ქართული ენის ცოდნის დონის შესაფასებელი ტესტი

ნიმუშები:

- გრამატიკა

ხვალ ნანასთან ორი ახალი ---------- ----------.

ა. თანამშრომლები მოვლენ.

ბ. თანამშრომელი მოვა.

გ. თანამშრომლები მოვა.

დ. თანამშრომელი მოვლენ.

- ლექსიკა

დიალოგში გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სწორი თავაზიანი ფორმა. აირჩიეთ პასუხის შესაბამისი ვარიანტი.

- რას ----------?

- წყალს, თუ შეიძლება.

- აი, ინებეთ.

ა. ისურვებ

ბ. შესვამ

გ. შეჭამთ

დ. მიირთმევთ

- **მოსმენილის გაგება**

მოსასმენი ტექსტი →

საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტურიზმის სფერო. საქართველო სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი არქიტექტურული ძეგლებით (როგორიცაა მაგალითად მონასტრები, ციხესიმაგრეები), მდიდარი კულტურული მემკვიდრეობით, ულამაზესი ბუნებითა და სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი უნიკალური კერძებით სულ უფრო იზიდავს ტურისტებს, რაც დადებითად აისახება ეკონომიკურ განვითარებაზე. სხვადასხვა ქალაქებში მუდმივად უმჯობესდება ინფრასტრუქტურა, რათა ტურისტებს გაუმარტივდეთ გადაადგილება.

საქართველოს ტურისტული მიმზიდველობის რომელი ფაქტორი <u>არ არის ნახსენები</u> ტექსტში?

ა. არქიტექტურული ძეგლები.

ბ. ულამაზესი ბუნება.

გ. ბუნებრივი რესურსები.

დ. უნიკალური კერძები.

- **წაკითხულის გაგება**

ვიოლინო

ვიოლინო უძველესი საკრავია. იგი დიდი ხნის განმავლობაში ვითარდებოდა და მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებში ჩამოყალიბდა საბოლოოდ ვიოლინოს საუკეთესო ნიმუშები. ამ დროს იტალიის ქალაქებში ბრეშიასა და კრემონაში ვიოლინოებს აკეთებდნენ ისეთი დიდოსტატები, როგორებიც იყვნენ: ამატი, სტრადივარიუსი, გვარნერი და მაჯინი. მათ მიერ გაკეთებული საკრავები დღემდე საუკეთესოდაა მიჩნეული მთელ მსოფლიოში. ვიოლინოს 4 სიმი აქვს. თითოეულ სიმს თავისი სახელი ჰქვია: სოლ, რე, ლა, მი.

ვიოლინო ზომით სხვადასხვაგვარია. მე-18 საუკუნეში არსებობდა ძალიან პატარა ვიოლინო, მას ერქვა „პოშეტა“. ის ქურთუკის ჯიბეშიც კი ეტეოდა. საქართველოში ვიოლინო პირველად შემოიტანეს 1841 წელს.

საქართველოს ბევრი სახელგანთქმული მევიოლინე ჰყავს: ანდრია ყარაშვილი (პირველი ქართველი მევიოლინე), ლუარსაბ იაშვილი, ლეო შიუკაშვილი და მათი აღზრდილები: მარინე იაშვილი, ლიანა ისაკაძე და სხვები.

ძალიან პატარა ვიოლინოს ერქვა:

ა. პოშეტა

ბ. ბრეშია

გ. კრემონა

დ. მაჯინი

- **წერა (ესე)**

ესეს თემის მაგალითი:

ბოლოდროინდელი კვლევების თანახმად, რაც უფრო ხანგრძლივად იყენებს ადამიანი ინტერნეტს, მით უფრო ნაკლებ დროს უთმობს ის ადამიანებთან ურთიერთობას. ზოგი ამბობს, რომ ინტერნეტში ხედავს ახალი, მსოფლიო მასშტაბის საკომუნიკაციო შესაძლებლობების გზას, რომელიც წარმატების მიღწევის შესაძლებლობას უფრო რეალურს ხდის. საზოგადოების დიდი ნაწილი კი შეშფოთებულია იმ უარყოფითი გავლენით, რომელსაც ინტერნეტი ახდენს სოციალურ ურთიერთობებზე.

- **გამოთქვით თქვენი აზრი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით;**
- **ახსენით თქვენი პოზიცია, საკუთარი აზრის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.**

- **მეტყველების უნარის შეფასება**

მონოლოგური მეტყველების შეფასებისას გამოსაცდელს ეძლევა თემების ჩამონათვალი, რომელთაგან უნდა შეარჩიოს მისთვის კარგად ნაცნობი ერთი თემა (მაგ., „ჩემი პროფესია“) და მასზე ისაუბროს.

საუბრისას მოწმდება მისი ენობრივი კომპეტენცია შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- მსჯელობის ადეკვატურობა;
- მსჯელობის ლოგიკური განვითარება;
- ენობრივი გამართულობა;
- ლექსიკური სიმდიდრე;
- დაუბრკოლებლად მეტყველების უნარი.

დიალოგური მეტყველების შეფასებისას გამოსაცდელს მოეთხოვება დასმულ შეკითხვებზე პასუხების გაცემა.

დიალოგური მეტყველება ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- შეკითხვებზე პასუხების ადეკვატურობა;
- პასუხების დაუბრკოლებლობა/სპონტანურობა;
- ენობრივი გამართულობა;
- ლექსიკური სიმდიდრე;
- სიზუსტე/არაორაზროვნება.